

# გამოცხადება თუ არა დაცულ ზონად მდინარე აჭისწყლის ხეობა?



**ალიონი.** ლიხაურელმა შესაბამისი პეტიციით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურს, გურიაში ერთ-ერთი ყველაზე გიჟმაუი მდინარე აჭისწყალი ჩამოედის, რომელიც ცნობილია

თავისი უნიკალური ფლორითა და ფაუნით. სოფელი მდიდარია შუა და ადრე საუკუნეების ისტორიული ძეგლებით, ამიტომ ამ ხეობას ხშირად სტუმრობენ ადგილობრივი და უცხოელი ტურისტები. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სოფელ

აჭის (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ზემოთ საკალმახე მუერნობის მოწყობას გეგმავდნენ, მაგრამ ნინო თოიძის საზოგადოების აქტიურობით, პროექტი ჩაიშალა. რამდენიმე წლის წინ ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა აჭისწყლის ხეობა ე.წ. „დევის ქვის“ მოპირდაპირე მხარეს, სადაც ე.წ. „ინვესტირება“ ქვის კარიერის მოწყობას აპირებდნენ, რასაც შესაბამისი ზემდგომი უჭერდა მხარს. კვლავ ლიხაურელი ახალგაზრდების პროტესტი, მედიის აქტიურობა, გურიის იმჟამინდელი გუბერნატორის მხარდაჭერა და ეს „პროექტი“ ჩაიშალა. შარშან, მდინარე აჭისწყლის ქვემო წელში, რამდენიმე კარიერი ერთაშად გაიხსნა და ქვა-ლორდის გატანა დაიწყო, რასაც სოფლის მოს-

ახლეობის პროტესტი მოჰყვა. ლიხაურში ქვა-ლორდის მოპოვებელმა ორგანიზაციებმა მუშაობა შეწყვიტეს, მაგრამ აქციების ორგანიზატორის, პედაგოგ **ირმა გორდელაძის** აზრით, ხეობას გარკვეული იურიდიული სტატუსი უნდა მიენიჭოს. სოფელში 1000-მდე მცხოვრებმა მოაწერა ხელი პეტიციას, რომლითაც ისინი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრობლემის მოგვარებაში მხარდაჭერას სთხოვდნენ. დღეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ, ირმა გორდელაძემ დეპუტატებთან, მერიის ხელმძღვანელებთან და ჟურნალისტებთან განცხადება გააკეთა: „ბატონებო, მივიღეთ თქვენი

დასკვნა ჩვენი პეტიციის შესახებ, თუმცა პასუხი აცდენილია პეტიციის მოთხოვნას. ჩვენ ვთხოვთ შუამდგომლობას გარეშოს დაცვის სამინისტროსთან. თქვენს პასუხში ეწერა, რომ ქვიშა-ლორდის მოპოვება მდ. აჭისწყალზე დროებით შეჩერებულია. დიას, დროებითაა შეჩერებული და მიტომ სოფელმა გადაწყვიტა პეტიციის ფორმით დაიცვას მდინარე, თავისი უნიკალური ხეობით. კარიერები შეჩერებულია, მოსახლეობის ძალისხმევით და ბრძოლით. ვგზები და ხიდეები უნდა გაკეთდეს, ოღონდ არა ეკოლოგიის დარღვევით და მდინარეების აოხრებით. ეს არ არის მდგრადი განვითარების პრინციპი. არადა, გარემოს დაცვის სამინისტრო და წიადის ერო-

ნული სააგენტო თითოს რომ უნდა ლიხაურლებს და მერე თქვენს სწორედ ამ ხელს თქვენზე შეიწყნდნენ, როცა დადგება საკითხი და მოხდება ეკოსისტემაში ბარბაროსულად ჩარევის გამოძიება. ეკოლოგიური კატასტროფა უკვე გვაქვს. ჩვენ ვითხოვთ მდინარის თავისუფალ, ხელშეუხებელ ზონად გამოცხადებას. ვთხოვთ, გავვიწიოთ შუამდგომლობა და თუ ამას ვერ მივაღწევთ, ჩვენ სხვადასხვა ლონისძიებებით, არასამთავრობო სექტორის დახმარებით ვეცდებით დავიცვათ მდინარე აოხრებისაგან და ბუნება უხეში ხელყოფისაგან. მდ. აჭისწყლის ხეობა ამას იმსახურებს. სოფელი პასუხს ელოდება.“ — განაცხადა ირმა გორდელაძემ.

## ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოცემა. № 11 (10305) 18 მარტი 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

### დემენტალიზაციის დეფინიტი პრობლემებს უქმნის მუნიციპალიტეტს

... როგორ არ უნდა გიჟვარდეს საკუთარი მოსახლეობა, არ გაბაჩნდეს მრავალრიცხოვანი ინტენსივობის, არ ფიქრობდეს მის ახლანდელ ვადგომარობაზე და არ გაბაჩნდეს მომავლის იმედში, ან სრულფასოვან ვერ ერაკვოდეს მის გუშინდელ წარსულშიც კი, რომ დასაქმების პრობლემის ან თუნდაც ტურისტების მოზიდვის მიზნით ამ დემენტალიზაციის მკურნალობის, მარისხუნანს თუ სხვა მრისხათვის გამანადგურებელი პროექტის გარდა, სხვა რეალური და ოპტიმალური პროექტი ვერ (თუ არ) მოიფიქრო ...



**იკითხეთ გაზეთი „ალიონი“**  
სატელეფონო ფასი - 60 თეთრი  
სელმოფერა:  
6 თვით - 15 ლარი

### რატომ გადაიდო საკრებულოს სხდომა თუკი ყველაფერი ბარკვეული იყო?

**ალიონი.** ბუნებრივია, ეს კითხვა გაუჩნდება ამომრჩეველს, რადგან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა არა თვის პირველ ოთხშაბათს, 6 მარტს გაიმართა, არამედ საკრებულოს ბიურომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წინადადებით 13 მარტისთვის ჩანიშნა.

რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რატომ არ მსვრიდა საკრებულოს სხდომა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ირმა გორდელაძის ინიციატივით? კულუარული ინფორმაციით სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა მერს და რამდენიმე დეპუტატს შორის. ისინი პროტესტის გამო საკრებულოს 13 მარტის სხდომას არ დაესწრნენ. ამ თემაზე დეპუტატები კომენტარისაგან თავს იკავებენ.

2019 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე თავისი პოზიცია მხოლოდ ორმა დეპუტატმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯულაძემ** და სივრცით ტერიტორიული მოწყობის და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის **ლაგერენტი ბიგვაჯი** დააფიქსირეს. ეს კი ქმნის აზრს, რომ დეპუტატების უმეტესობას საკრებულოს სხდო-



მაზე თავიანთ მოვალეობად განხილულ საკითხებზე მხოლოდ ხმის მიცემა მიაჩნიათ. 4 მარტს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მოვისმინეთ რამდენიმე დეპუტატის მიერ დაყენებული წინადადებები და შენიშვნები. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ ჩვენც ვიფიქრებდით, რომ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე უკვე იმსჯელებს, მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა გაითვალისწინა, ან მოტივირებული პასუხები გასცა დეპუტატების მიერ ინიცირებულ შესატან ცვლილებებს, მაგრამ საკრებულოს სხდომაზე ამის შესახებ არანაირი განმარტება არ გაკეთებულა. კარგია, რომ მუნიციპალიტეტი სამოქალაქო ბიუჯეტების დანერგვას იწყებს, რისთვისაც 150 ათასი ლარი

გამოიყო, რაც ქ. ოზურგეთის მოსახლეობას, გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრთან ერთად, მათ მიერ ინიცირებული სხვადასხვა პროექტის განხორციელების საშუალებას მისცემს, მაგრამ **სსლიმამ არ დაპირდა მარტის 13-ს, რა სატრანსპორტო საშუალებები უნდა შეიძინოს მერიამ, ეს კითხვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს, კონსტანტინე შარაშენიძეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დაუსვებს, სადაც მან განმარტა, რომ ის ამას აუღიფის დასკვნადან გამომდინარე აკეთებს, რადგან დიდია საწვავის ზარჯი. მუნიციპალიტეტი მერიისა და საკრებულოსთვის თითო „ვიუნდაი**

**მიწის**“ შეიძინოს, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში გადაადგილებიან საკრებულოს დეპუტატებიც და მერიის თანამშრომლებიც. საკრებულოს სხდომაზე კი (მუნიციპალიტეტის მერი არ ესწრებოდა) მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა **პავლე ჭყონია**მაც განაცხადა, რომ აუღიფის დასკვნით უნდა მოსდეს საწვავის სარჯების ოპტიმიზაცია... თუ მცა, საკრებულოს სხდომაზე არააშენიძე თმძულა, რა სახის სატრანსპორტო საშუალებებს იმპნენ, ან რატომ დადგა ამის საჭიროება, რომ მსაგ 2016 წლის ალგლობრივი თმმთმამ-რთმ-

გზ-2



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შეუთვრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

**გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.**

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებათაღვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
 რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani@rambler.ru  
 558 499100

საინფორმაციო სამსახურის  
 ხელმძღვანელი  
**თემურ მარშანიშვილი**  
 tem52@mail.ru  
 599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აღიონზე  
 «ალიონით»

### რატომ გადაიდო საკრებულოს სხდომა თუკი ყველაფერი გარკვეული იყო?

ლოპის არჩევნების შემდეგ განაგრძობს მუშაობას საკრებულოს სხდომა. რაც სავარაუდოდ წლის განმავლობაში 138 ათასი ლარი იქნება, უპასუხოდ დარჩა.

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი **პაულო ტყეშელაშვილი** ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს საბაზო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებისთვის ხელფასების გაზრდის თაობაზე, იმის იმედს იძლევა, რომ სკოლაში დაწესებულ-ელემენტარულ აღმზრდელ-პედაგოგების შრომა სათანადოდ დაფასდება, მაგრამ წინა სხდომაზე აქტიური ოზურგეთის საბაზო დაწესებულებების პედაგოგებისთვის დამატებითი ანაზღაურების გაცემის თემა არც კი უსენებიათ.

კიდევ ერთი თემა, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე **გელა ჩაგლეიშვილი** დააყენა. რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობის, შობადობის მკვეთრი შემცირებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ ყოველ ახალშობილ ბავშვზე 300 ლარის გაცემის შესახებ,

რაც სავარაუდოდ წლის განმავლობაში 138 ათასი ლარი იქნება, უპასუხოდ დარჩა.

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი **პაულო ტყეშელაშვილი** ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს საბაზო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგებისთვის ხელფასების გაზრდის თაობაზე, თუმცა როდის განხორციელდება იგი, უცნობია. რაც შეეხება ყოველ ახალშობილზე 300-ლარიან დახმარებას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 10-ზე მეტი დახმარების სპეციალური პროგრამაა, რომელიც სოციალურად დაუცველ ადამიანებს ეხება, ამიტომ წელს დამატებით 300-ლარიანი დახმარების გაცემის შესაძლებლობებს მოკლებული ვართ. 2020 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას საკრებულოსთან ერთად ვიმსჯელებთ აღნიშნულ საკითხზე და შეთანხმების მიღწევას შემთხვევაში, შესაბამისი მუხლი ბიუჯეტს შესაძლოა დაემატოს.

### ავტოსაგზაო შემოსევა ოზურგეთში მსხვერპლით დასრულდა

**ალიონი.** გასულ ოთხშაბათს ავტოსაგზაო შემოსევა მოხდა ქ. ოზურგეთში, რუსთაველის ქუჩაზე. გზაჯვარედინზე ერთმანეთს მოტოციკლი და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ. ავა-

რიის შედეგად მოტოციკლის მძღოლი, 25 წლის მ. ბ-მე გარდაიცვალა. გარდაცვლილი კომპანია "სოკარში" მუშაობდა. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

### სოფელ ჯუმათში წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ჯუმათის ტერიტორიულ ერთეულში წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოები ოზურგეთის მერის პირველმა მოადგილემ, ალექსანდრე სურგულაძემ და მერის მოადგილემ, ოსიკო თოთიბაძემ მონაწილეობა მიიღეს.

ჯუმათის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფონიდან ფინანსდება. სამუშაოებს შპს „დ.ნ“- ი აწარმოებს.



### ტონობით გადაყრილი ციტრუსოვანთა ნაყოფი და თითქმის გადაწურული იმედი მდგომარეობის გამოსწორებისა



მწარე სიმართლეა: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური რუკიდან სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად გაქრა, სხვათადასრულად რომ ვთქვათ, დარგი განადგურდა.

ოზურგეთში მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან (ჩაი, ციტრუსი, ტუნგი, დაფნა და სხვ.) მოსახლეობამ მეტ-ნაკლებად ციტრუსოვნები შეინარჩუნა, როგორც ოჯახის საარსებო წყარო. სამწუხაროდ, თუ ხელისუფლებამ არ იზრუნა, ამ კულტურასაც არ აქვს დიდი დღე.

მეციტრუსე ფერმერებს პრობლემები საკმაოდ მეტი აქვთ, მაგრამ

უმათავრესი პრობლემა მინც მოწვეული მოსავლის დაბალი ფასი და სარეალიზაციო ბაზრის უქონლობაა.

ავროტექნიკური ღონისძიების სრულყოფილად ჩატარების შემთხვევაში, ერთი კგ ნაყოფის წარმოება 30-40 თეთრი ჯდება, როცა სარეალიზაციო ფასი 50-60 თეთრზე ზევით არ ადის, ისიც სტანდარტული ნაყოფისა, არასტანდარტულის ღირებულება კი მხოლოდ 10 თეთრია და ხშირად იგი მიღებული პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯებსაც ვერ ფარავს. მოკლე, ციტრუსების მოსავლის აღება და რეალიზაცია ჯოჯოხეთურ პირობებს გვიქმნის. ყოველი ახალი წელი ფაქტობრივად

### უმჯობესა სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებთან



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, **ალექსანდრე სურგულაძე** სახალხო დამცველის ოფისის რეგიონულ წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ოზურგეთში მცხოვრები მოსახლეობის უფლებათა დაცვის მიმართულებით არსებული აქტუალური საკითხები, სოფლების ინფრასტრუქტურული საჭიროებები

და სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე თუ დაგეგმილი პროექტები განიხილეს.

ალექსანდრე სურგულაძემ სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთის სამმართველოს ხელმძღვანელს **მადონა ბასილაძეს**, ქუთაისის ოფისის მთავარ სპეციალისტს, **თამაზ ჩიქელაშვილს** და ოზურგეთის ოფისის წარმომადგენელს, **თამარ ოგანოვას** აღნიშნულ საკითხებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და სხვადასხვა მიმართულებით არსებული პრობლემები გააცნო, რომელთა მოგვარებაც სახალხო დამცველის აპარატთან პარტნიორობით იქნება შესაძლებელი.

მხარეებ ურთიერთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სამომავლო ბიუჯეტის დანერგვას იწყებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სამომავლო ბიუჯეტის დანერგვას იწყებს.

აღნიშნული პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარი გამოიყო.

პროექტი, რომლის ინიციატორია, მერის მრჩეველი **ალექსანდრე ბერიძე**, „გურიის ახალგაზრდა რესურსცენტრთან“ თანამშრომლობით განხორციელდება.



საინციფერო, პირველ ეტაპზე, მხოლოდ ქალაქის მცხოვრებლებზე ვაგროვდება, რომელთა ჩართულობითაც ოზურგეთში სხვადასხვა პროექტი განხორციელდება.

მოქალაქეთა მონაწილეობით მექანიზმები დღეს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში **NDI-ს** საშუალო ვადით ერთად განიხილება.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში **ზურაბ ნასარია**, მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და საკრებულოს წევრები დაესწრნენ.

განილვას ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლები **ლამა გოგიტი** და **თამარ გურიშვილი** უძღვეოდნენ.

განილულ იქნა მოქალაქეთა ჩართულობის ტექნიკური და სამართლებრივი მექანიზმები, საპროექტო განაცხადების ელექტრონული წარდგენისა და აღმინისტრირების წესი, ხმის მიცემის სერვისი, პროექტის ღირებულების კოეფიციენტის განსაზღვრის წესი, შესასრულებელი პროექტების შესრულების რიგითობა პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გათვალისწინებით.

### წამწარებული გვაქვს, რა გვეახალდება, როცა ციტრუსი სახლში გვიღებება და ზამთარს გავიტანთ თუ არა, არ ვიცით.

გვეუბნებოდნენ, ნატანები და აგერ ახლა კონკრეტულად დაგვინებენ და ჩვენსას როგორ მიიღებენ? ტონობით ციტრუსოვანთა ნაყოფი დაუღება ხალხს. ბოლიშ გიხდით და სულ ფეხებზე ჰკიდით ეს პრობლემა. 700-კომლიან სოფელში თითო მანქანა და ტრაქტორია, ისიც უმოწმოდ, რადგან საბურავები არ აქვთ.

წლის მოსავლის დაღუპვის შესახებ დაიწერა განცხადება, გადაიცა ტელევიზიით, მაგრამ ყერი არავის გაუპარტყუნებია, სარეალიზაციოდ გამზადებული მოსავალი სახლში გვიღებება და იძულებული ვართ, დავმარხოთ ან გადავყაროთ. მე პირადად 4 ტონა დამალი ციტრუსი გადავყარე. 4,5 ტონა კი, რომელიც არასტანდარტულად ცნეს 10-10 თეთრად ჩავაბარე. საბოლოოდ 20 ტონა ციტრუსის პატრონს 6 000 ლარი დამრჩა, რაც ფაქტობრივად ერთი რიგითი საჯარო მოხელის ერთი თვის ხელფასსა და დანამატს თუ უტოლდება.

აჭარაში გაცილებით მეტი ყურადღება და მუშაობა ყველა სფეროში.

### კერძოდ, მარტო ქობულეთში ორი მიმღებ-გადამამუშავებელი ქარხანაა, ეს მაშინ, როცა ოზურგეთში ციტრუსოვანთა მოსავალი არანაკლებია.

არავინ ფიქრობს ამაზე. სხვისი ჭირი ღობის ჩხირად მაინც იქნება ამაზე.

როგორ უნდა იცხოვრო იმ ქვეყანაში, სადაც არაფერს ვერადაღება არ ექცევა: დარეკავ და არ გასაუბრებ; განცხადებას დაწერ და ერთი წელი პასუხს არ გაძღვევ. ორი წელია პოლიტიკაში განცხადება შევიტანე, პასუხი არ მაქვს. განცხადების დაბრუნება მოვითხოვე, გაცნობებთო და ა. შ.

ერთადერთი ახალი გუბერნატორი ზურაბ ნასარია აღმოჩნდა, რომელმაც ჩემს ზარს უპასუხა. ვისაუბრეთ მეციტრუსელობაში არსებულ პრობლემებზე. რაც არ უნდა ავტორიტეტუანი იყოს, არა მგონია, მხოლოდ მისი ავტორიტეტი ვფიქროვებ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას გურიაში ციტრუსების შემფუთავი და გადამამუშავებელი ქარხნების აშენების შესახებ. ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც უნდა იზრუნონ საამისოდ.

**პასტანო მარგალიტაძე,**  
სოფელი მერია



# „გაგნების მიერ მიყენებული ზარალი ველს მინიშნავდა იქნება დაყვანილი“



გურიის რეგიონში ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ჩატარდება. ღონისძიებების დაწყების ვადა მონიტორინგის შედეგებით განისაზღვრება. სახელმწიფო რწმუნებული **ზურაბ ნასარაია** და მენეჯერთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელი, **ლამა შალამბერიძე** რეგიონის სამხედრო მუნიციპალიტეტის, აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ჩართულ სამუშაო ვაკუუმს შეხვდნენ. შეხვედრაზე მენეჯლის წინააღმდეგ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები განიხილეს. როგორც მენეჯერთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა **ლამა შალამბერიძემ** განმარტა, მენეჯერთან ბრძოლის პროცესში თვითმმართველობების, მოსახლეობის ჩართულობა იქნება მნიშვნელოვანი. გასული წლების მაგალითზე დაგროვდა გამოცდილება, რომლის საფუძველზეც უფრო გაძლიერდება „მოიზიდ და გაანადგურე“ სადღურები. მოსახლეობა იქნება სისტემ-ატურად ინფორმირებული და მათ ეცოდინებათ თუ რა პერიოდში შეიქმნება მათი სოფელი.

„გურიის რეგიონის სამხედრო მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ვაკუუმები. ჩვენ, მათთან ერთად, განვახორციელებთ შეხვედრებს და მომავალი კვირიდან დავიწყებთ მუნიციპალიტეტების სოფლებში გასვლას. ვფიქრობთ, რომ ვატარებული ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წელი იქნება გარდატეხილი და მენეჯლის მიერ მიყენებული ზარალი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი“ - განაცხადა **ზურაბ ნასარაიამ** შეხვედრას წარმომადგენლები.

# მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანებას ბიუჯეტი გაუზარდა

ოზურგეთის საკრებულომ 13 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანების“ ბიუჯეტი 70 000 ლარით გაიზარდოს. ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელმა თამარ ნადირიძემ გვითხრა რომ თანხა ორი მიმართულებით გაიზარდა. კერძოდ, სასოფლო კლუბების თანამშრომლებს გაეზარდათ ხელფასები და გაერთიანებას დაემატება ორი ანსამბლი, „რეხეული“ და „ალილია“.

**თამარ ნადირიძე:** ჩვენ გვაქვს სასოფლო კლუბები, სადაც თანამშრომლებს მიზერული ხელფასები აქვთ. ერიცხებოდათ 160 ლარი და ხელზე იღებდნენ 128 ლარს. ჩვენი სურვილი იყო, მათთვის თუნდაც 50 ლარით მოგვემატებინა ხელფასი. ყველამ კარგად ვიცით, რომ სოფელში კულტურული ცხოვრება თითქმის არ არსებობს. ამდენად კლუბების არსებობა და მათთვის ხელშეწყობა აუცილებელია. საჭიროა მუშაობის მოტივაცია ჰქონდეთ.



**— რამდენ სოფელშია ასეთი კლუბი?**  
— სამწუხაროდ მხოლოდ II სოფელში. შეიძლება ამ ეტაპზე სასოფლო კლუბებში არ არის აკადემიური დონე, მაგრამ არის ადამიანური რესურსი. რატომ არის მნიშვნელოვანი კლუბების არსებობა? იმიტომ, რომ აერთიანებს იმ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებიც არის სოფლებში. შეთანხმებულად მუშაობენ დეპუტატები, რწმუნებულები მათ შორის ჩართულია სკოლები, მოსწავლეები. ბავშვები სწავლობენ სცენაზე დგომას, მიკროფონის დაჭერას, სიტყვის წარმოთქმას. ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სოფლებში და მათი წარმოჩენა საჭიროა. ამიტომაც როგორც კი ფინანსური საშუალება გამოჩნდა, პირველ რიგში, კლუბები გაერთიანების წინაშე.

**— რატომ ვერ ხერხდება სხვა სოფლებშიც კლუბების შექმნა?**  
— კლუბები იმ სოფლებშია, სადაც არის შესაბამისი შენობა. ზოგ სოფელში ცალკე კლუბის შენობა, ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციულ შენობაში აქვთ ფართი გამოყოფილი. ინფრასტრუქტურას ჭირდება მოწესრიგება, მაგრამ ეს ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ასევე სურვილი მქონდა, უკვე არსებული კლუბებისთვის შეგვეძინა მუსიკალური ინსტრუმენტები, მაგალითად, პიანინო, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

სოფლების მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრები. ამიტომ, ერთი და იგივე პოზიციაზე რამდენიმე სპეციალისტი აღმოჩნდა. შეიძლება ეს არასწორი იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ არსებობს დაუწყველი კანონი ადამიანური, მორალური. მაშინ, როცა ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური ფონია, ადამიანებს საკვების ფულზე უწყვეტ ყოველ-დღიური ზრუნვა, ვინმესთვის პურის ფულის გამორთმევა ძალიან გამიჭირდა. ამიტომ რაღა-ცნაირად გადავანაწილე ფუნქციები, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ უსაქმოდ არავინ ვართ. ყველას აქვს თავისი ფუნქცია და მოვალეობები.

**— სულ რამდენი თანამშრომელი გყავთ და რამდენი განყოფილებაა თქვენთან?**  
— 192 თანამშრომელი გვაქვს და ხუთი განყოფილება გვაქვს. კულტურის, ტურიზმის და ა.შ. განყოფილებებიდან მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებაზე ყველაზე მეტი უნდა ვთქვა, რადგან საქმე მომავალ თაობას, ბავშვებს ეხება. ბავშვებისთვის გვაქვს 14 უფასო წრე. რა თქმა უნდა, ყველას ვღებულობთ, მაგრამ თუ ამის საშუალებას გადატვირთული ვაკუუმები არ გვაძლევს, პირველ რიგში, სოციალურად დაუცველ ბავშვებს. მაგალითად, გვაქვს ჭადრაკის წრე, სადაც ოთხმოცამდე ბავშვაა, ლიტერატურის წრე, ცეკვის, საბავშვო ფოლკლორული ანსამბლი „დილა“, ასევე საესტრადო ვაკუმი „ნელი სალა-მურები“, ინგლისურის წრე, მათემატიკის.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 16 154 702,43 ლარით გაიზარდა

ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას საკრებულომ მხარი დაუჭირა. საბიუჯეტო სახსრების ნაშობა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 7 409 887,7 ლარი შეადგინა. მათ შორისაა საკუთარი ნაშობი და მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა საკრებულოს სხდომაზე ის პროგრამები და მუხლები წარმოადგინა, რომელშიც ბიუჯეტის ზრდის შედეგად ცვლილებები შევიდა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტების დანერგვას იწყებს. აღნიშნული პროექტისთვის თანხა 150 ათასი ლარი გამოიყო. პროექტის ინიციატორის, მერიის მრჩეველის ალექსანდრე ბერიძის განმარტებით დაგეგმილია ქალაქის მაცხოვრებლებისთვის სამოქალაქო ბიუჯეტის პრინციპებით პროექტების განხორციელება. ეს პროექტი გურიის ახალგაზრდა რესურსცენტრთან თანამშრომლობით განხორციელდება.



საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 1 010 000 ლარი დაიხარჯება. დაგეგმილია ლისაურში 9 აპრილის პარკის რეაბილიტაცია, რომელიც ელექტრონული პეტიციით იქნა ინიცირებული.

საკრებულოს წევრებმა დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმსჯელეს და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაზე მიიღეს გადაწყვეტილება. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო დასუფთავებისთვის მოსაკრებლის ოფნობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილებების შეტანი თაობაზე, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისი უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

**— მხოლოდ სასოფლო კლუბებზე გადაწილდა დამატებითი გამოყოფილი თანხა?**  
— არა. **დაგეგმატა ქალთა ორი ანსამბლი: „რეხეული“ და „ალილია“.** ეს ანსამბლები წლებია არსებობდნენ. ჩვენს ღონისძიებებშიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენ ჩავთვალეთ საჭიროდ დროებით, ხელშეკრულებით ავიყვანოთ ისინი. მათი რეპერტუარიდან, მაყურებლის მათდამი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, გარკვეული დროის შემდეგ ალბად ზაფხულისთვის ჩაატარებენ საანგარიშო კონცერტს.

**— ორი ა(ა)იპ-ის გაერთიანების შემდეგ განახორციელებთ თუ არა სტრუქტურული ცვლილებები?**  
— ვამბობთ, რომ გაერთიანდა ორი ა(ა)იპ-ი, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო სამი ა(ა)იპ-ის გაერთიანება. ესენი იყო კულტურის და დასვენების პარკი და ქალაქს ოზურგეთის და

ესაუბრა **მარი კოძიშვილი**

განმარტებები გაკეთდა, ა.ა.ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის სუბსიდიის შესახებ, რომელმაც 41 ათასი ლარი შეადგინა. როგორც სხდომაზე აღინიშნა იგეგმება ამ თანხით მოსახლეობისთვის კვლევის ჩატარება აივ ინჟექციაზე, **С** ჰეპატიტისა და ტუბერკულოზზე.

საკრებულოს წევრების შეკითხვები სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებსაც შეეხო. კომისიის თავმჯდომარის **ლამარაძის პიპაშვილის** განცხადებით დეტალურად არის წარმოდგენილი ღონისძიებების ნუსხა, თუმცა **კვლავ პასუხგაუცემელი დარჩა კომისიის შენიშვნა პროგრამის ფარგლებში ასახული პროექტების დატოვების შესახებ.**

„საკრებულოს წევრები სატრანსპორტო საშუალებებისთვის გამოყოფილი თანხითაც დაინტერესდნენ, რომელიც ავტობარკს ეხება. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი ლურჯუაშვილის** თქმით: „აღნიშნული თანხის განკარგვაზე, მიზანშეწინააღმდეგობრივად, მოხდეს შესაბამისი წესის პროექტის შემუშავება, საკრებულოს მიერ დამტკიცება, რომელიც უზრუნველყოფს ავტობარკის განაწილებას, გამოყენებას რაციონალურად და თავისებულ იქნება მთავრობის დადგენილებასთან. საკრებულო მადგენებს თვალს ამ პროცესს და აქტიურად ჩაერთვება წესის შემუშავებაში.“

განკარგულება დამტკიცდა, დაბა ურეკში სანაპიროზე გასასვლელისთვის **ნიკოლოზ ქარცივაძის სახლის მინიჭების თაობაზე.**

განკარგულებები დამტკიცდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან, დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების და 2019 წელს სტიქიის პრევენციის მიზნით, ამავე ფონიდან განსახორციელებელი პროექტების მოწოდების თაობაზე.

საკრებულომ ინფორმაცია მოისმინა და ცნობად მიიღო მერიის მიერ 2018 წელს განხორციელებული მსყიდველების შესახებ ანგარიშგაერთიანებული ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, სოფელ ლისაურში საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მერიის მიერ პეტიციის განხილვის შედეგები.

# მუნიციპალური განვითარების კლასტერის პირველი შეხვედრა გაიმართა

15 მარტს, სასტუმრო „ქორთ იარდ მარიოტში“ გაიმართა მუნიციპალური განვითარების საკოორდინაციო პლატფორმის პირველი სამუშაო შეხვედრა.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ მერების შეთანხმების ხელმოწერი მუნიციპალიტეტების მერები, მერების შეთანხმების ეროვნული კოორდინატორები - საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, სახელმწიფო რწმუნებულები - გუბერნატორები გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის რეგიონებში, მერების შეთანხმების მხარდაჭერი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოში ევროკავშირის, ასევე, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წევრები.



შეხვედრას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **გია ებრაძიძე**, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერები **კონსტანტინე შარაშენიძე**, **ალეკო სარიშვილი**, **ირაკლი კუჭავა** დაესწრნენ.



# დეცენტრალიზაციის დეფიციტი პრობლემებს უქმნის მუნიციპალიტეტს



მიმდინარე წლის 25 თებერვლის გაზ. „ალიონის“ სტატიამ მოსახლეობას ამცნო „სასიხარულო“ ამბავი: „მოთავრობა გრიგოლეთში, ურეკსა და ფოთში აზარტული თამაშების განვითარებას ხელს შეუწყობს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კანონპროექტით „დასახელებულ ლოკაციებზე მოგვარდება ადგილობრივი დასაქმების პრობლემა“, გაიზარდება ტურისტული პოტენციალი, შენელება ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესი.

მართლაც რომ „საამაყო“ დამოკიდებულება მოთავრობის მხრიდან. და ეს კეთდება ბაზრის სიმწირის გამოსწორების მიზნით, რომ ისედაც ამ გაღატაკებულ, სიდუხჭირით წელში მოხრილ მოსახლეობას, თითოეულ ოჯახს და რეგიონში დარჩე-

ლბიტიაც ვერ მრავლდებიან მის გუშინდელ წარსულშიც კი, რომ დასაქმების პრობლემის ან თუნდაც ტურისტების მოზიდვის მიზნით ამ ღვთისნიერი ქვეყნის ზღვი-საირა სუბტროპიკულ რამ-იონებში აზარტული თამაშების, მარისხანას თუ სხვა მრისათვის გაგანაღმურებული პროექტის ბარდა, სხვა რამალური და ოპტიმალური პროექტი ვერ (თუ არ) მოიფიქრო.

- ეს მაშინ, როცა აზარტულმა თამაშებმა და კაზინოებმა არა ერთი ახალგაზრდა დაღუპა და გაანადგურა ოჯახები;

- ეს მაშინ, როცა ჭარბვალიანობა დიდი დოზით სწორედ აზარტულ თამაშებთან იყო კავშირში; ეს მაშინ, როცა ბანკებში დაწესებული შეზღუდვებისას აზარტული თამაშების წახალისება ახალგაზრდებს სწორედ ქურდობისკენ (საკუთარი ოჯახებიდანაც) გაუჩენს მიდრეკილებას და გაიზარდება ქურდობისა და დაყაჩაღების ფაქტები;

- ეს მაშინ, როცა ქვეყანაში ერთის მხრივ გამოცხადდა განათლების პრიორიტეტი, მაგრამ მეორეს მხრივ, ეს სრულიად შეუთავსებელია აზარტული თამაშების წახალისებასთან;

- ეს მაშინ, როცა ქვეყანა და ყველაზე მეტად გურიის რეგიონი დემოგრაფიული კატასტროფის წინ-

აშე დგას;

- ეს მაშინ, როცა ქვეყნის ახალგაზრდობა სწორედ იმიტომ გარბის უცხოეთში, რომ არ არიან დასაქმებული და წარმატებულ მოტივირებულნი, მაგრამ აზარტული თამაშები არ ქმნის წარმატების მოტივაციას;

- ეს მაშინ, როცა მრავალ ქვეყანაში არ არსებობს აზარტული თამაშების სერვისი, მაგრამ დიდა ტურისტული პოტენციალი;

- ეს მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას, როგორც უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანას, უამრავი საამაყო გაგვანია, მათი წარმოჩინება უნდა იყოს სწორედ ტურიზმის განვითარების მიზანი და არა ქვეყნის დამამცირებელი და უღირსი საშუალებები;

- ეს მაშინ, როცა აზარტული თამაშებით ტურიზმის განვითარების მიზნის დასახვა ქვეყნის ღირსების შელახვა და ასეთი გზით ბიუჯეტის შევსებაც მხოლოდ დამცირებაა და არა სიამაყე;

- ეს მაშინ, როცა გურიის რეგიონში ისე როგორც მთელ ქვეყანაში უამრავი პრობლემა მოსავარებული, რომლებშიც მოთავრობა არ ერევა და არ ხდება არავითარი რეგულირება თუ დახმარება;

- ეს მაშინ როცა უამრავი პროექტი არსებობს, რომელთა განხორციელება რეგიონისა და სუბტროპიკული ზონის პირობებში უზრუნველყოფს საშუალო ადგილების შექ-

მნას და მოსახლეობის სტაბილური შემოსავლებით უზრუნველყოფას;

- ეს მაშინ, როცა პროექტები ვერ ხორციელდება სწორედ მოთავრობის დახმარებისა და ხელშეწყობის გარეშე.

აზარტული თამაშებისათვის ხელშეწყობა არის კი ადგილობრივი მოსახლეობისთვის მისაღები? ეს არის სწორედ თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის დეფიციტი. „თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობა შინაარსობრივი ტავტოლოგიაა... ჩვენი თვითმმართველობა სიტყვითაა თვითმმართველობა“ და არა რეალურად, აღნიშნავს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ოზურგეთის ოფისის კოორდინატორი გრიგოლ მახარაძე.

მინდა მივმართო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელს ბატონ ქობულას რეგიონისათვის დახმარებისა და ხელშეწყობის სურვილის პირობებში შევთავაზებთ არაერთ ოპტიმალურ, რეალურ განვითარებაზე დაფუძნებულ პროექტსა და წინადადებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის მასიურ დასაქმებას და მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**ნანული ორაგველიძე,**  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი.

## 100 წელი დამფუძნებელთა კრების პირველი სხდომიდან



სოფელ ბახვსა და ზემო ნატანებში დამფუძნებელთა კრების წევრი ქალბატონების ქრისტინე შარაშიძის და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძის მემორიალური დაფები გაკეთდება.

1919 წლის 14-17 თებერვალს დამოუკიდებელ საქართველოში დამფუძნებელთა კრების არჩევნები გაიმართა საყოველთაო, ფარული, თანაბარი და პირდაპირი კენჭისყრით. არჩევნების შედეგების მიხედვით ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: „სოციალ-დემოკრატები“ -109 ადგილი; ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალურ-ფედერალისტების პარტია 8-8; ხოლო სოციალურ-რევოლუციონერები -5 ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ დამფუძნებელთა კრების სხვადასხვა პარტიის სიაში 20-ზე მეტი ქალი იყო, მათგან 5 საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გახდა.

გურიიდან დამფუძნებელთა კრებაში 2 ქალბატონი იყო: ქრისტინე შარაშიძე და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე.

დამფუძნებელთა კრების წევრები იყვნენ: ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, გიორგი მურვანიძე (იმავე დროულად ოზურგეთის ქალაქის თავი); ანანია სალუქვაძე, ვლასა მე-ლაძე, გრიგოლ ურაჭაძე, დავით შარაშიძე, კირილე ნინიძე, სილიბისტრო ჯიბლაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, სოლომონ ვადაჭკორია, ნიკიფორე იმნაიშვილი, თევდორე კიკვაძე, ლავროსი კილურაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ლეონტი ფლენტი, სიმონ სურგულაძე, ილია ფირცხალაშვილი, თევდორე ლლო-ნტი, ნოე ცინცაძე, ვასილ წულაძე...

1919 წლის 12 მარტს დამფუძნებელთა კრების პირველი სხდომა გაიმართა, რომელიც უხუცესმა წევრმა სილიბისტრო ჯიბლაძემ გახსნა. დამფუძნებელთა კრებამ დაამტკიცა მოთხოვნის ახალი შემადგენლობა ნოე ფორდანიას მეთაურობით....

12 მარტს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის არქეოლოგიურ მუზეუმში გაბრეილ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ნაშრომი „საქართველო პარლამენტარიზმის სათავეები“. სკო-


ლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა შეასრულა სიმღერები.

მე-9 კლასის მოსწავლე ნინი კანდელაკმა წარმოადგინა მის მიერ მომზადებული ხელნაწერი ჟურნალი „საქართველო 1919 -1921 წლებში“, (დოკუმენტებით აღდგენილი ისტორია).

ლინისძიებს დაესწრნენ მხარისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, ხელოვნებისა და კულტურის დარგის მუშაკები, პედაგოგები, მოსწავლეები.

გურიის გუბერნატორის მოადგილე, საჯარო მმართველობის დოქტორმა გაა ებრაღიმე ქართული პარლამენტარიზმის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ თქვა, რომ დამფუძნებელთა კრების ორი წევრი ქალბატონის ქრისტინე შარაშიძის და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძის მშობლიურ სოფლებში (ბახვი, ზემო ნატანები) მემორიალური დაფები გაკეთდება. მერის თქმით ამ იდეის ავტორი ოზურგეთელი გიგი მახარაძეა. მერმა სოფელ ბახვში გაბრეილ ქიქოძის სახელობის მუზეუმის აღდგენაზეც ისაუბრა.



## ლია ძნელაძის ხსოვნას



გარდაიცვალა ცნობილი ექიმი, შესანიშნავი პიროვნება **ლია ძნელაძე-შევარდნაძე**.

მას იცნობდნენ როგორც კარგ მოქალაქეს, მეგობარს, შესანიშნავი ოჯახის დედას.

ქალბატონი ლია ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ოზურგეთის რაიკენტრალური საავამეოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ, იყო პროფესიონალი და გულისხმიური ექიმი.

მისი მეუღლე, ბატონი ელგუჯა შევარდნაძე თითქმის 5 ათეული წელი მუშაობდა გაზეთ „ალიონის“ რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. რედაქციის თანამშრომლები მეგობრობდნენ მათ ოჯახთან.

გარდა იმისა, რომ ქალბატონი ლია და ბატონი ელგუჯა თავიანთი საქმის პროფესიონალები იყვნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ გასული საუკუნის 60-90-იანი წლების ოზურგეთის კულტურულ ცხოვ-

რებაში.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ბატონმა ელგუჯამ ოზურგეთის თეატრში ელენე ახვლედიანის იმპროვიზებული სადამოჩაატარა. ეს იმ დროისთვის სრულიად განსხვავებული მოვლენა იყო.

შევარდნაძეების სიანსლოვემ ცნობილ ფერმწერ ლადო გული-აშვილის ოჯახთან განაპირობა ის, რომ დღეს ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში ლადო გულიაშვილის ორიგინალები ინახება...

შევარდნაძეების ოჯახის ღირსება იყო და არის შესანიშნავი შვილები თამარი და ნინო, განსწავლულები და კარგი ოჯახის დედები...

„ბინდისფერია სოფელი“ იტყვიან, მაგრამ ამ დიდებულმა ქალბატონმა ამ წუთისთვის დღეს უფალა ნათელში ამყოფოს!

**„ალიონელი“ მემობრები**







წიგნოსაცავები და ბიბლიოთეკები

ბიბლიოთეკას, რომლითაც სარგებლობდა იმდროინდელი განათლებული გლეხობა და ინტელიგენცია. 1919 წელს მიქლ...

წიგნოსაცავების მ. შინის სურათებანი 'ვეფხისტყაოსანი', სიმონ გუგუ...

ბიბლიოთეკის, ფილოლოგ-პედაგოგ მარგალიტა კუნჭულას, თენგიზ კუნჭულას და სხვათა...



ასეთი ღონისძიება გახლდათ ყოფილ მადაროთა სამართელოში, რომელიც მოაწყო...

ბიბლიოთეკების ძირითადი საქმიანობა წიგნის პროპაგანდის სხვადასხვა ფორმებია...

სკანვორდი

A large grid-based word search puzzle with various words hidden within it. The grid includes words like 'მსახიობი', 'პოეტი', 'ქართული', etc., and directional arrows indicating the direction of the words.

№ 10-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - ერის მარია რემარკი; ქალის სახელი - თამთა; ელემენტიც, ყვავილიც - კალა; უსვლოდ დატოვება...



# არაჩვეულებრივი გამოფენა ფოლკლორის ცენტრში დათვალიერებელს ელოდება



საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრში ხელნაკეთი ნივთების გამოფენა 8 მარტს გაიხსნა და ერთ თვეს გასტანს. სამი ავტორის მრავალფეროვანი ნამუშევრები სხვადასხვა მასალითა და ტექნიკითა შესრულებული. აქ ნახავთ ნანი ჭანუყვასის ცვილისა და მერი კეჭავაძის თევზის ფხისაგან შექმნილ ნი-

ვთებს. ასევე ეკატერინე ანთიას ოქრომკერდითა და ჯვრით შესრულებულ ნაკარგებს.

**მაია გელაშვილი**, საქართველო სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრის შემოქმედებითი მიმართულებების ხელმძღვანელი: გამოფენა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მრავალფეროვანია. ვფიქრობ, ძალიან დაინტერესებს დამთ-

ვლიერებელს. ცვილით ნამუშევრები შესრულებულია ნანი ჭანუყვასის მიერ. ყველა ნამუშევარი ცვილითაა შესრულებული, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ცვილს ემატება დინდგელი და აძლევს სხვა შეფერილობას, იქმნება საოცარი ფერთა გამა. მერი კეჭავაძის მიერაა შესრულებული თევზის ფხისაგან შექმნილი ნამუშევრები. ეს მისი ჰობია. საოცრად მრავალფეროვანი ნამუშევრები აქვს. თევზის ფხით შესრულებული ნამუშევრები ძალიან იშვიათობაა. რაც შეეხება ოქრომკერდით ქარგვას, ეს ტექნიკა ძალიან შრომატევადია. დღესდღეობით თუ ვინმე ქარგავს ოქრომკერდით ქარგავს მანქანით. ჩვენს შემთხვევაში ნამუშევრები ხელითაა შესრულებული.

**ეკატერინე ანთია**: ოქრომკერდი ქართული ეროვნული ტექნიკაა. ასევე მაქვს ტექნიკით ნამუშევარი რომელსაც ჯვრულს ეძახიან. ბავშვობიდან ვმუშაობ, თვითნასწავლი ვარ. შემდეგ ჩემი ნამუშევრები საპატრიარქოში მივიტანე და უმაღლესი შეფასება მივიღე. ხელნაკეთებისგან ფიანანსური მოგება არ მაქვს. საე-

კლესიო ნივთებს ვაკეთებ და ვწირავ ეკლესიებს.

**მერი კეჭავაძე**: დაწყებითი კლასის მასწავლებელი ვარ კვირიკეთის საჯარო სკოლაში. მიყვარდა ეს საქმე ყოველთვის. თევზის ძელებზე აქცენტი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ვაკეთებ. ადრე თითქმის ყველა სახის ბუნებრივ მასალაზე ვმუშაობდი, ეს იყო ბისერები, ზღვის ნივარები თუ

სხვა. ჯერ ბავშვები მიყვარს და შემდეგ ჩემი ნაკეთობები. ძალიან ბევრი ნამუშევარი ვაკეთებ. სკოლაში მუშაობის 50 წლის სტაჟი მაქვს. როცა მასწავლებლობა დავიწყე, იმ დღიდან ბუნებრივ მასალაზე მუშაობასაც შევეუდექი. ასაკმა უკვე თავისი გაიტანა მაგრამ მაინც ვაგრძელებ მუშაობას.

ბარი კომოვი



## ოზურბეთელი მოჭიდავების წარმატება საქართველოს ჩემპიონატზე



ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო!!! საქართველოს პირველობიდან ოზურბეთელი, ახალგაზრდა მოჭიდავეები წარმატებით დაბრუნდნენ!!!

12 - 14 მარტს ქუთაისში ბერძნულ - რომულ ჭიდაობაში, ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა. ჩემპიონატში მონაწილეობა საქართველოდან სხვადასხვა ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს.

შვედებში ოზურბეთელმა მოჭიდავეებმა წარმატებით იასპარეზეს.

130 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი და ოქრის მედალი, **რობიკო ესაძე** მოიპოვა. (მწვრთნელები: აწ გარდაცვლილი ალიკა ბოლქვაძე. ამჟამად - ზურა ცინცაძე)

მეორე ადგილი და ვერცხლი - **გიორგი თოხაძე** აიღო, რომელმაც 55 კგ.

წონით კატეგორიაში იასპარეზა. (მწვრთნელები: ძმები ზურაბიანი)

ასევე ვერცხლის მედალი და მეორე ადგილი მოიპოვა **საბა ცეცხლაძე**, რომელიც ტატამზე 130 კგ. წონითი კატეგორიით გამოვიდა. (მწვრთნელი აწ გარდაცვლილი ალიკა ბოლქვაძე. ამჟამად - ბექა ჩოფლიანი)

საქართველოს პირველობაზე, ახალგაზრდებს შორის მესამე ადგილი **რამინ ჭელიძე** აიღო. ჭელიძემ 87-კგ. წონითი კატეგორიით იასპარეზა და შინ ბრინჯაოთი დაბრუნდა. (მწვრთნელი - გურამ მაჭარაშვილი)

ასევე მესამე, საპრიზო ადგილზე გავიდა **კუკური ბარბაქაძე**. ბარბაქაძე ტატამზე - 130 კგ. წონითი კატეგორიით გამოვიდა. (მწვრთნელები: კახაბერ აბაშიძე, გურამ აბაშიძე.)

## სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე ქ. ოზურბეთის №2 სკოლის გუნდმა გაიმარჯვა

გურიის რეგიონალური პირველობის-ათვის მინიფეხბურთში სასკოლო სპორტული ოლიმპიადა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ოზურბეთის 2-ე, ჩოხატაურის 1 და ლანჩხუთის 3-ე საჯარო სკოლების გუნდები იღებდნენ.

პირველი ადგილი **ოზურბეთის 2-ე საჯარო სკოლის გუნდმა** მოიპოვა, მეორე ადგილი ლანჩხუთის 3-ე საჯარო სკოლამ, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი ჩოხატაურის 1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა. რეგიონალური თამაშები ოზურბეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და დაფინანსებით ჩატარდა.



## რეგიონალური პირველობა ფრენბურთში



გურიის რეგიონალური პირველობის-ათვის ფრენბურთში ვაყებსა და გოფონებს შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა გაიმართა, რომელშიც ოზურბეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის საჯარო და სასულიერო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. ვაყებს შორის პირველი ადგილი **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის** საჯარო სკოლის გუნდმა მოიპოვა, ხოლო გოფონებში **ოზურბეთის მუნიციპალიტეტის ნარუჯის** საჯარო სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა. პირველ ადგილებზე გასულ სპორტსმენებს თასები კომპანია "კარტეზ" გადასცა. შვედებში ოზურბეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და დაფინანსებით ჩატარდა.

## ემოთსედფინალის ფუვილები ცნობილია



15 მარტს ნიონში, უფვას შტაბ-ბინაში ჩემპიონთა ლიგის მეთოთხედფინალური სტადიის კნჭისწყა გაიმართა. კნჭისწყის შუ-

ვად გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: "აიუსი" - "ოვენტუსი", "ლიგურული" - "პორტუ", "ტოტენჰემი" - "მანჩესტერ სიტი", "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ბარსელონა". თვალდაპირველად მასპინძელ გუნდად "ბარსელონა" ამოვიდა, თუმცა რადგან ორივე მწესტრული გუნდის სამინაო შესვენების ჩატარება ერთ დღეს დაეზისვა, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, მასპინძელი

გუნდი "უნაიტედი" გახდა. ნახევარფინალის წილისყრა: "ტოტენჰემი" - "მანჩესტერ სიტი"/"აიუსი" - "ოვენტუსი", "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ბარსელონა"/"ლიგურული" - "პორტუ". 9/10 აპრილს ჩემპიონთა ლიგის პირველი მეთოთხედფინალური მატჩები გაიმართება, ხოლო საპასუხოები 16/17 აპრილს ჩატარდება.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბალო 0+7 18 მარტი ორშაბათი	მზე, +2+10 19 მარტი სამშაბათი	მზე, +3+14 20 მარტი ოთხშაბათი	მზე, ღრუბალო +4+13 21 მარტი ხუთშაბათი	მზე, ღრუბალო, +5+13 22 მარტი პარასკევი	მზე, ღრუბალო, +4+14 23 მარტი შაბათი	მზე, ღრუბალო, +6+12 24 მარტი კვირა
---	--	--	---	--	---	--